საქართველო

№ 14 ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 15 სექტემბერი 1942 წ.

ამაოდ ქღარუნებენ კრემლის ზარები ...

აღსასრულის წინ დგას ბოლშევიზმი. კომინტერნის თავზე ტრიალებს სიკვდილის აჩრდილი. „კომუნისტური სამოთხე" ინგრევა, ნადგურდება. საერთაშორისო ურიობის მოციქული სტალინი მძიმე უნუგეშობას შეუპყრია. მოკავშირეთა ბანაკში ოთურმაა. მოსკოვის რადიო დღითა და ღამით ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის საბჭოთა პატრიოტობაზე, სამშობლოსადმი თავდადებაზე. შედეგი ერთია: გამანადგურებელი მარცხი ყველა ფრონტზე; ნოვოროსისკი დაეცა, სტალინგრადი ცეცხლის ალშია,კავკასიის ყინულოვან მთებში ძლევამოსილად მიდის წინ გერმანის არმია... შედეგი ერთია, ყველასათვის ნათელი: იმარჯვებს სიმართლე, წესრიგი, ისპობა ბნელი, უმეცრება, კაცთმოძულება.

„ყოფნა, არყოფნა"—შექსპირის ჰამლეტივით აღრჩობს სტალინის სულს, კრემლის მესვეურთ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ: მილიონობით ადამიანთა სისხლი, აუწერელი განადგურება, ურიცხვი სამხედრო დოვლათის დანაკარგი —წითელი მარშლები ულონონი არიან შეაჩერონ გერმანიის უძლეველი იერიში...

განსაცდელის ჟამს კომინტერნი გულსაკლავად ჰგოდებს... მოსთქვამს მოსკოვის რადიო ნიანგის ცრემლით. ბოლშევიკებს ტალახიდან ამოაქვთ ოდესღაც ლაფდასხმული სიტყვები: „სამშობლო", „რუსის ერი", „მშობელი მიწა". „მტერი გვიახლოვდება, — გაჰყვირის სტალინი, — რუსეთის უძველესი მდინარის ნაპირებთან და კავკასიის მდიდარ ველებზე. ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი დამოკიდებულია ამ მძაფრ ბრძოლებზე, რომელიც ეხლა მძვინვარებს. არ დაიხიოთ უკან! იდექით სიკვდილამდე თქვენს ადგილს, ეს არის ბრძოლის ყიჟინა ჩვენი ერისა! თქვენს ხელშია სამშობლოს ბედი, თქვენი ოჯახებისა და ბავშვების ბედ-იღბალი. რუსის ერის სამხედრო ტრადიციები სცოცხლობენ საბჭოთა მეომრების ბრძოლებში. დაე, ალივსოს თქვენი გული მტრის სიძულვილით."

სტალინი, კრემლის მესვეურთა ხროვა გრძნობს აღსასრულის მოახლოებას. მწარე სინამდვილე სანუგეშოს არაფერს იძლევა. საბჭოთა მეომრების „პატრიოტიზმი" ყველა ფრონტზე ერთ წერტილში იყრის თავს — ეს არის გაქცევა, „ელასტიური უკან დახევა", ტყვედ ჩავარდნა, იარაღის დაყრა, განადგურება, სიკვდილი. აწმყოში აღარაფერი დარჩათ სანუგეშოდ ბოლშევიკებს. ისინი დაეხეტებიან წარსულში, ეძებენ ისტორიულ ადამიანებს, სუვოროვებს, ნეველებს, კუტუზოვებს, აწესებენ მათ ორდენებს, ჩინებს, ხარისხებს, გაჰყვირიან, იმუქრებიან, ჰგოდებენ — არაფერი გამოდის. საბჭოთა არმია ნადგურდება, ისევ ათასეულთა გვამები ბრძოლის ველზე, გადამწვარი ქალაქები,სამხედრო ნადავლთა გროვები.

ბოლშევიკების განწირული გოდება გაისმის ყველგან. არ დაიხიოთ უკან,— ყვირის სტალინი, თქვენს ხელშია ჩვენი ბედ-იღბალი, მოთქვამს პრესა, არ უღალატოთ წინაპართა ადათს, —ჰგოდებს რადიო... კომინტერნის ცაზე კვლავ უიმედობის შავი ღრუბლებია; და ჟამს განსაცდელისას გაიძვერა ბოლშევიკების მლიქვნელური მოწოდებანი რუსის ერის სიდიადეზე, პატრიოტიზმზე გაისმის ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.ისტორიამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ბოლშევიზმს; დიადი გერმანია, განახლებული ევროპის მებაირახტრე ანგრევს ბოლშევიზმის ჯოჯოხეთს... ამაოდ ქღარუნებენ სამშობლოსადმი სიყვარულზე კრემლის ზარები...

კავკასიის ერები იმედით შესცქერიან გერმანიის არმიის ძლევამოსილ წინსვლას. ამ დიად ბრძოლაში გერმნიის ლაშქართან არიან კავკასიის ერთა ლეგიონერნიც.

განთავისუფლების ხმები უახლოვდება ქართულ მამულს. ქართული მიწა ელის გერმანიის ძლევამოსილ არმიის მისვლას, არმიის, რომელსაც თავის ალამთან ერთად მოაქვს სიმართლე, წესრიგი, კაცთმოყვარება, ბედნიერება.

უმაღლესი ჯილდო მეოთხე ოფიცერს

ადოლფ ჰიტლერმა ობერლეიტენანტს მარსეის, გერმანიის შეიარაღებული ძალების მეოთხე მხედარს მიანიჭა უდიდესი საბრძოლო სახელწოდების ჯილდო ბრილიანტებითა და ხმლებით რაინდის ჯვარი რკინის ჯვრისა.

ობერლეიტენანტი მარსეი დაიბადა 1919 წელს გენერლის ოჯახში.მან მცირე დროის განმავლობაში საბრძოლო წარმატებანით დიდი პოპულარობა მოიპოვა. 1941 წელს მარსეის უკვე 7 გამარჯვება ჰქონდა. უმფროსი იუნკერის სახელით იგი გადაყვანილ იქნა აფრიკაში გერმანიის მომქმედ ჯარში.

მარსეის გამარჯვებათა რიცხვი იზრდებს. 1942 წლის 2 სექტემბერს ამ რიცხვმა 125 მიაღწია. ეგვიპტის ფრონტზე უკანასკნელ დღეს მან ინგლისის 16 თვითმფრინავი ჩამოაგდო. განადგურებული 125 თვითმფრინავი ყველა ინგლისისაა. სიმამაცისათვის მარსეიმ მიიღო დამსახურებული ჯილდო.

ნოვოროსისკის ნავთსადგურის საერთო ხედი.

ნოვოროსისკის შემდეგ

გერმანიის ჯარის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ ნოვოროსისკის სიმაგრის აღების დროს ადგილი ჰქონდა უმძაფრესს ბრძოლებს. ბოლშევიკების ზარალი ძლიერ დიდია. წინასწარი ცნობებით გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდათ 6758 წითელარმიელი. აურაცხელ სამხედრო მასალასთან ერთად გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს ბოლშევიკების 14 ჯავშნიანი ავტომანქანა, 90 ქვემეხი, 1 ჯავშნიანი მატარებელი და მრავალი გემი. გერმანიის ჯარის სახმელეთო ნაწილებს ენერგიულად ეხმარებოდა ავიაცია. თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ მტრის სიმაგრეებს, ებრძოდნენ ბოლშევიკების კოლონების მოძრაობას ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ნოვოროსისკის გარეთუბნებში გერმანიის ჯარი აწარმოებს მტრის ნარჩენების საბოლაო განადგურებას. ავიაცია შავი ზღვის სანაპიროების გასწვრივ რომელიც სავსეა მტრის ეშალონებით, განგრძობს ბომბარდირებას.

ნოვოროსისკის დაცემა უდიდესი დანაკარგია საბჭოთა კავშირისათვის. სევასტოპოლის შემდეგ შავ ზღვაზე ნოვოროსისკი იყო ყველაზე ძლიერი ნავთსადგური, ხელსაყრელი სამხედრო გემებისათვის.

მძაფრი ბრძოლები სტალინგრადისათვის

სტალინგრადთან გაafთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. მიუხედავად წითელი არმიის სასტიკი წინააღმდეგობისა, გერმანელებმა ხელთ იგდეს სტალინგრადთან ძლიერად გამაგრებული მაღლობები. მძაფრ ბრძოლას აწარმოებენ გერმანიის ავიონაწილები. თვითმფრინავები ანადგურებენ მტრის სანგრებს, პოზიციებს. საჰაერო ბრძოლებში 6 და 7 სექტემბერს ბოლშევიკებმა დაჰკარგეს 125 თვითმფრინავი. 40 თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა გერმანელთა საზენიტო არტილერიის მიერ, 3 კი განადგურებულია მიწაზე. ამ დიდ საჰაერო ბრძოლებისას გერმანელთა თვითმფრინავთაგან თავის ბაზაში არ დაბრუნებულა 5 თვითმფრინავი.

ომის მოკლე ბალანსი

ცნობილი თურქი ჟურნალისტი ფაიამი საფა აჯამებს ომის სამი წლის შედეგს. ღერძის სახელმწიფოებს მისი აზრით აქტივში აქვთ: 1. უპირავთ მეტად მნიშვნელოვანი პოზიცია ევროპაში. 2. ბატონობენ შორეულ აღმოსავლეთს და წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში. 3. შექმნილია საშიშროება მტრის მიმოსვლისათვის წყნარისა და ატლანტის ოკეანეებში, ხმელთა შუა ზღვაში. 4. საშიშროების შექმნა მახლობელ აღმოსავლეთში. 5. უდიდესი სამრეწველო წარმოებათა ფლობა პოლონეთში, ბელგიაში, საფრანგეთში და რუსეთის ევროპიულ ნაწილში. 6. ფლობა რუსეთის ნედლეულის ბაზისა. 7. თავდაცვის მრეწველობაში 6 მილიონი ტყვის შრომის გამოყენება. 8. განუწყვეტელი ინიციატივა სამხედრო ოპერაციებში. 9. განიარაღება ათეული სახელმწიფოსი, რომლებიც მეგობრულად იყვნენ მტერთან. 10. გაძლიერებული ბლოკადა, რომელსაც გამანადგურებელი შედეგი მოაქვს მტრის სავაჭრო ფლოტისათვის. 11. მნიშვნელოვან სამხედრო პუნქტების დაჭერა, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ევროპის, შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის დაცვისათვის. 12. საშიშროება ინგლისის ბატონობისათვის ინდოეთში.

მოკავშირეებს თავიანთ აქტივში აქვთ ნეგუსის აღდგენა ტახტზე.

არ არის ძნელი მიხვდეთ,— განაგრძობს ჟურნალისტი საფა,— რომ მოკავშირეებმა ომი დაიწყეს მხოლოდ და მხოლოდ ეფიოპიის გვირგვინისათვის.

არეულობა ინდოეთში

როგორც ბანგკოკიდან იტყობინებიან, არეულობა ბომბეიში დღითიდღე იზრდება. ქუჩებში შეწყვეტილია ავტობუსებისა და ტრამვაის მიმოსვლა. ინდოელმა სტუდენტებმა ქუჩებში მოაწყეს დემონსტრაციები ინგლისის წინააღმდეგ.

ინგლისელები აწარმოებენ დემონსტრანტთა მასობრივად დაპატიმრებას. პოონაში ყველა სკოლა დაკეტილია. ინდოეთის 6 ოლქში ინგლისელებმა მოახდინეს 435 დემონსტრანტთა კოლექტიური დასჯა.

ინგლისის პოლიციამ დააპატიმრა ინდოეთის ქალთა კონფერენციის ხელმძღვანელი კამალადევი. კამალადევი აქამდე ცნობილი იყო როგორც ინგლისის მთავრობის თანამებრძოლი, ეხლა კი ის დააპატიმრეს როგორც ნაციონალური მოძრაობის მონაწილე.

არაბები იძენენ იარაღს

პალესტინიდან იტყობინებიან, რომ დღითი-დღე იზრდება დეზერტირთა რიცხვი ეგრეთწოდებულ „არაბთა ნებაყოფლობითი ნაწილებიდან". ინგლისელები, რომელნიც აქამდე ქება-დიდებას ასხამდნენ მათ საქმისათვის მებრძოლ არაბთა სურვილს, ახლა დარწმუნდნენ მასში, რომ არაბები ჩაებნენ ამ ნებაყოფლობითი ნაწილებში მხოლოდ იმისათვის, რომ მიეღოთ იარაღი. ისინი, როგორც კი ხელთ იგდებენ იარაღს, სტოვებენ ნაწილებს და ცდილობენ იარაღი გამოიყენონ ნაციონალურ განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ახალი უწესრიგობანი ირლანდიაში

რევოლუციური მოძრაობა „ირლანდიის რესპუბლიკურ არმიაში" ჩრდილო ირლანდიაში დღითი-დღე ძლიერდება. „ირა"ს ახალგაზრდა წევრის ვილიამსის სიკვდილით დასჯამ გამოიწვია მრავალ ახა ლწევრთა ჩაბმა ამ ორგანიზაციაში. მრავალ ქალაქში ჩატარდა ირლანდიელთა ახალი გამოსვლები. ლონდონერიში საქმე პოლიციასთან შეტაკებამდე მივიდა, რომლის დროსაც ორივე მხარემ იარაღი გამოიყენა. საზღვარზე ჩრდილო ირლანდიისა და ირლანდიის სახელმწიფოს შორის სწარმოებდა სროლა, დაშავდა რამდენიმე პოლიციელი.

51 გემი, 8 ხომალდი

უკანასკნელი კვირის განმავლობაში გერმანიის წყალქვეშა ნავების მიერ კვლავ ჩაძირულია 51 სავაჭრო გემი 227 900 ტონის წყალწყვით. გარდა ამისა ჩაძირულია 8 ხომალდი, რომელთა საერთო წყალწყვა ჯერჯერობით გამორკვეული არ არის. აგვისტოს განმავლობაში ინგლის - ამერიკის სავაჭრო ფლოტმა დაჰკარგა 125 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა შეადგენს 808 100 ტონას. ამასთანავე ერთად, როგორც გერმანიის ჯარის უმაღლესი სარდლობა იუწყება დაზიანებულია გემების დიდი რაოდენობა 200 ათასი ტონის წყალწყვით.

ირანი ბოლშევიზმის წინააღმდეგ

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ჩრდილოეთ ირანში ირანელები დაეცნენ საბჭოთა ავტო-კოლონას. ძლიერი ცეცხლის შედეგად 22 საბარგო ავტომობილიდან განადგურებული იქნა 9. ავტო-კოლონის გამცილებელი წითელარმიელები მოკლული იქნენ. მოკლულია აგრეთვე რამოდენიმე ამერიკელი ტექნიკი, რომლებიც იმყოფებოდნენ ტრანსპორტზე.

მარშალ ტიმოშენკოს მორიგი „სტრატეგიული" მოსაზრება.

ნახ. ლევ. ი. ტ.

ოფლი, სისხლი და ცრემლი

ინგლისის ხალხი მოუთმენლად ელოდა ჩერჩილის სიტყვას მოსკოვში მოგზაურობისა და ომის სხვა და სხვა თეატრებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. დიდი ლოდინის შემდეგ გამოვიდა ჩერჩილი. მისი სიტყვა იყო მშრალი, უინტერესო. დეპუტატთა საგრძნობმა ნაწილმა დასტოვა პალატა. ჩერჩილმა ჩვეულებისამებრ ყველა მარცხი გადააქცია გამარჯვებად. ხმელთა შუა ზღვაში ინგლისის ქარავანის განადგურება მან იცნო სერიოზულად. დიეპის ავანტურისას მოისპენ კანადის პოლკები. 8 არმიამ ლივიაში განიცადა მძიმე დანაკარგი (80 000 კაცი), დაიხია უკან 600 კილომეტრზე; მიუხედავად ამისა ჩერჩილის აზრით ის კვლავ „უძლეველია".

ჩერჩილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ზარალი ზღვაზე დიდია, ატლანტიის ოკეანეში ბრძოლა არის ცენტრალური პუნქტი ინგლისისა და ამერიკისათვის. აღმოსავლეთის ფრონტზე ჩერჩილმა დეპუტატებს მოაგონა, რომ უკვე სექტემბერია, შემოდგომა დადგა.

ენწყალიანი ჩერჩილი ასწერს სტალინთან შეხვედრას. პირველი საუბარი სტალინთან სასიამოვნო იყო. სტალინი დაჟინებით მოითხოვს „მეორე ფრონტს", მოკავშირეთა დახმარებას სუსტად სთვლის. ჩერჩილი ეფიცება სტალინს, რომ იგი და რუზველტი ერთგულნი არიან ბოლშევიზმისა ამ ომში, რომ ინგლისს კუნძულზე ყოფნა უშლის ხელს უფრო მეტად დაეხმაროს რუსეთს, ბოლშევიკებს.

გაზეთი „დეილი მეილი" ჩერჩილის გამოსვლასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ინგლისი თავდაცვის პოზიციას იჭერს სამ უმთავრეს ფრონტზე— სტალინგრადთან, კავკასიაში და ეგვიპტეში. „სტალინგრადის დაცემის შემდეგ, — სევდიანად განაგრძობს გაზეთი, —რუსეთი გაიყოფა ორ ნაწილად. თუ გერმანელები აიღებენ კავკასიას, ისინი თვით შექმნიან მეორე ფრონტს შუა აღმოსავლეთში და იაპონელებთან ერთად დაემუქრებიან ინდოეთს."

სამი წელია მიმდინარეობს ომი. მას ინგლისისათვის სანუგეშო არაფერი მოაქვს. პრესა, საზოგადოებრივი აზრი შეპყრობილია ღრმა პესიმიზმით. ზოგიერთი გაზეთები „ტაიმსის" მეთაურობით აშკარად მოითხოვენ ,რომ მოკავშირეებს არ გააჩნიათ აღმაფრთოვანებელი ლოზუნგები.

„დეილ ტელეგრაფი" მიმართავს ინგლისის ხალხს, რომ „ოფლის, სისხლის და ცრემლების" დღეები ჯერ არ გამქრალან, ისინი კიდევ უფრო დამღუპველად მოდიან.

ლევ. ა. ნ.

„ამომავალი მზის ქვეყანა"

იაპონია „ამომავალი მზის ქვეყანაა". მის ნაციონალური დროშის თეთრ ფონზე გამოსახულია მოკაშკაშე მზე, რომელიც სხივებს აფრქვევს. იაპონია შედარებით გვიან, სახელდობრ 1868 წელს ჩაება ევროპის ხალხთა ფერხულში. ისტორიის ფურცლებზე ეს დრო 74 წელია; იგი ერთი წამია, ერთი თაობის ცხოვრებაა. განვლილი დროის მანძილი იაპონიისათვის სხვა ქვეყნებისაგან დახარჯული საუკუნეებია.

რით აიხსნება ეს გიგანტური ნახტომი? შეუჩერებელი ზრდა არის საამაყო რწმენა ნაციონალური „მე"-სი; იაპონიამ ამას მიაღწია მხოლოდ და მხოლოდ ხალხის შინაგანი სულიერი ძალებით, ერთობლივობით, ახლის შექმნის წყურვილით.მრავალი საუკუნეების მანძილზე იაპონია უცნობი იყო ევროპიელთათვის.

იაპონია მეზობელ ქვეყნებთან კონტაქტის გარეშე ვითარდებოდა. 665 წელი აღსანიშნავია იმით, რომ ამ წელს იაპონიამ მიიღო ჩინეთის კულტურა. ეს კულტურა არ იყო შემოტანილი ძალმომრეობით, არამედ თვით იაპონელთა მიერ. ხელისუფლების სათავეში მაშინ იდგა „კლანი" გამსჭვალული ჩინეთის კულტურით. იაპონიამ შესძლო ჩინური კულტურის ასიმილირება, ამოკრიფა მისგან საუკეთესო და საჭირო. ჩინეთის კულტურამ თავისი გავლენა მოახდინა ენაზე, ლიტერატურაზე, ნაწილობრივ აღათზედაც და თან მოიტანა ბუდიზმის, კონფუციანიზმის მოძღვრებანი. უძველეს წარსულში იაპონია ფეოდალური ქვეყანა იყო. მე-16 საუკუნის დასაწყისიდან სახელმწიფო მართვა-გამგეობა გადავიდა მტკიცე ხელში. ქვეყანას ერთმართველი „შოღუნი" მართავდა. იმპერატორი მხოლოდ დეკორატიულ ფიგურას წარმოადგენდა.

1271 წელს იაპონიას მოევლინა საშინელება. მონღოლეთის მფლობელმა ყიბლაი-ხანმა, რომელმაც თითქმის მთელი აზია დაიპყრო, გადასწყვიტა შემოეერთებინა იაპონიის კუნძულებიც. იაპონიის სანაპიროებთან ტაკაშიმაში გამოჩნდა მტრის ფლოტი 1000 გემით. მონღოლთა ჯარმა დაიწყო იაპონიის აღება. ბუნების ძალამ იხსნა იაპონია. ტაიფუნმა დალუპა მონღოლთა მთელი ფლოტი, ხოლო ხმელეთზე მყოფი, გადმოსხმული ჯარი იაპონელებმა მთლიანად ამოსწყვიტეს. დაახლოებით ამ ეპოქას ეკუთვნის ევროპის მიერ იაპონიის გაცნობა.

სახელგანთქმული ვენეციელი ვაჭარი-მოგზაური მარკო პოლო მიადგა თავისი გემით იაპონიის ნაპირებს, შეხვედრა სავაჭრო ხასიათის ატარებდა. მარკო პოლოს ჩასვლას არ მოჰყოლია რეგულარული ურთიერთობა ევროპასა და იაპონიას შორის. ორი საუკუნის შემდეგ იაპონიაში გამოჩნდნენ ქრისტიანული მისიონერები. 1549 წელს იაპონია ნახა წმინდა ფრანსუა ქსავიემ.

შემდეგ იაპონიამ ყრუდ ჩაჰკეტა კარი ევროპიელთათვის და ვინც ცდილობდა შეჭრილიყო, იარაღით ხელში ხვდებოდა.

ასე გაგრძელდა 1853 წლამდე, ვიდრე ამერიკელთა ესკადრამ ადმირალ პერრისის მეთაურობით არ გადალახა იაპონიის ნავთსადგურები და ხელახლა გახსნა ევროპიელთათვის იაპონიის ბაზარი. ამერიკელებს მიჰბაძეს სხვა ერებმაც. იაპონელებს მიუდგნენ ისე, როგორც მიჩვეულნი იყვნენ ჩინეთზე. ეს იწვევდა ხალხის აღშფოთებას. 1864 წელს გალახეს ინგლისელნი.

ევროპა-ამერიკის ფლოტი* ყუმბარებს უშენს იაპონიის სანაპიროებს, იაპონია უნდა დანებდეს. 1865 წელს ტახტზე ადის მუცუხიტო. 1868 წელს იაპონია თავისუფლდება „შოღუნისაგან", ახალი ხელისუფალი აყენებს მას ევროპის კულტურის გზაზე.

ფეოდალური რეფორმა, ტელეგრაფი, რკინისგზები, არმიისა და ფლოტის შექმნა, მიწების შესყიდვა ფეოდალებისაგან და გლეხებზე გადაცემა. ვაჭრების გათანაბრება კლასის უფლებებთან, სამურაების შევიწროება. 1869 წლის კონსტიტუცია. რუსეთთან ნახევარი სახალინის გადაცვლა კურილის კუნძულებზე. 1880 წელს იაპონია სხვა სახელმწიფოთა რიცხვში ღებულობს გასაშვებს კორეის ნავთსადგურებში. კორეა ჩინეთის ვასალია. იაპონია ამტკიცებს თავის მდგომარეობას სეულში. კორეაში იწყება არეულობა, მისი იმპერატორი ერისა და იმავე დროს მიმართავს ჩინეთსა და იაპონიას დაეხმარონ აჯანყების ჩაქრობაში. შეტაკება ჩინეთსა და იაპონიის შორის. ჩინეთის მარცხი. ზავის თანახმად იაპონია ღებულობს ფორმოზას, პესკადორის კუნძულებს, დიდს ფულად კონტრიბუციას და კორეაში გავლენის სფეროს. ბოქსიორის აჯანყების შემდეგ ჩინეთში რუსეთი იკავებს მანჯურიას. 1902 წელს დაიდო ინგლის-იაპონიის ხელშეკრულება. 1903 წელს წარმოიშვა ინციდენტი სატყეო კონცესიებზე მდინარე იალუზე. 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომი. პორსმუტის ხელშეკრულების თანახმად რუსეთი იაპონიას აძლევს პორტ-არტურს და მთელ რიგ პუნქტებს. მანჯურია იყოფა ორი სფეროს გავლენის ქვეშ. 1910 წელს იაპონია იერთებს კორეას. ამით იაპონია ამთავრებს პირველ ეტაპს — მაგრად იდგამს ფეხს აზიის მატერიკზე. 1912 წლის თებერვალში გადადგა ტახტიდან ჩინეთის იმპერატორი. ამ მომენტიდან ისტორია დგება ჩვენს თანამედროვე ფაზაში, რომლის გადაწყვეტილებას მომავალი გვიჩვენებს.

ფ ი ც ი

კიდევ ერთი შესანიშნავი დღე ლეგიონის ცხოვრებაში. ზეიმობს ლეგიონი. გერმანიის უძლეველი ნაციონალური დროშის გვერდით ფრიალებს საქართველოს სამფეროვანი დროშა. მოედანზე ტრიბუნის წინ დგას ქვემეხები, სამკუთხად შეწყობილი შაშხანები. მოედანი ელის დღესასწაულს.

ქართველ ლეგიონერთა კოლონები. თვითეულ მებრძოლის სახეზე სიამაყისა და კეთილშობილების უანგარო გრძნობაა. დღეს ფიცის დღეა.

ლეგიონერები ეგებებიან ძვირფას სტუმრებს, გერმანიის სარდლობის წარმომადგენელთ. ორკესტრი ასრულებს საბრძოლო ჰიმნს. გენერალი ქ.ელჩი გრაფ შ. და გერმანიის სარდლობის სხვა წარმომადგენელნი ჩაუვლიან კოლონებს, ესალმებიან ქართველ მებრძოლთ.

ყოველ კოლონიდან პასუხად ისმის: „ვაშა!“

იწყება ფიცი. კითხულობენ ფიცის ქართულ ტექსტს. მთელი კოლონა ისე, როგორც ერთი კაცი, ჰქუხს: „მე ვფიცავ!“ „მე ვფიცავ!..“

ტრიბუნაზე ადის ლეგიონის მეთაური კაპიტანი ჰ. იგი ამაღელვებლად მოუთხრობს ლეგიონერთ საქართველოს დიად წარსულზე, კოჯორთან სამშობლოსათვის დაღუპულთა სახელებზე და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ქართველი ლეგიონერები არ შეარცხვენენ წინაპართა სახელოვან ადათს, გერმანიის გმირულ ლაშქართან მხარ-მხარ იხსნიან სამშობლოს ბოლშევიზმის ხუნდებისაგან. „თქვენი რაინდი წინაპრები, — ამთავრებს კაპიტანი თავის სიტყვას, — სახელოვნად იბრძოდნენ მამულის განთავისუფლებისათვის. მათი შვილები, თქვენ, დღეს ფიცს აძლევთ საქართველოს ერთგულებაზე. მოგიწოდებთ, სახელოვნად შეგესრულებიოთ ეს წმინდა ფიცი... გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

ლეგიონერებს სიტყვით მიმართავს პოდპოლკოვნიკი ვ. „დღეს, — ამბობს იგი, — თქვენ ფიცი მიეცით გერმანიის შეიარაღებულ ძალთა ბელადს დიდ ჰიტლერს, შეჰფიცეთ ერთგულება სამშობლოს. ეს დიდი პატივია. იგი გავალებთ გაამართლოთ დიადი ნდობა გერმანიის ხალხისა, დიდი ჰიტლერისა. თქვენი სურვილია იხსნათ მამული, ხსნისათვის საჭიროა ბრძოლა. საქართველოს ორი ათასიანი წლის ისტორია ბრძოლაა, წინაპართა ამ სახელოვანი ადათით გისურვებთ გამარჯვებას!“

იწყება საზეიმო სვლა. გუგუნებს ორკესტრი. ტრიბუნის წინ მტკიცე ნაბიჯით ჩაივლიან ლეგიონერები. მისალმებაზე კოლონები იძლევიან მქუხარე პასუხს: ვაშა!..ვაშა!..

გერმანიის სარდლობის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ქართული ლეგიონი. ლეგიონერები მათ ალტაცებით ხვდებოდნენ: მართავდნენ ცეკვათამაშს, სიმღერას. ფიცის დღე დაუვიწყარი დღეა ჩვენი ლეგიონის ცხოვრებაში.ლეგიონერებმა შეჰფიცეს გერმანიის ხალხის ბელადს ადოლფ ჰიტლერს, მამულს, ბოლომდე ერთგულნი იყვნენ. ქართული ლეგიონი წინაპართა სისხლით შეღებილს, ნაცად დროშას კვლავ აღმართავს თავისუფალ ქართულ მიწაზე.

ლეგ. შ. ქ.

ხალხური შემოქმედების საუნჯე

უხვი და მდიდარია ქართული ხალხური პოეზიის საუნჯე. მის საგანძურში ხალხს განუწყვეტლივ შეაქვს ახალ-ახალი მარგალიტი. ქართველ ლეგიონერთა შორის ხალხური ლექსის მრავალი კარგი მთქმელია.

რედაქცია ჰკრეფს და მომავალში სისტემატიურად მოათავსებს ხალხურ შემოქმედებას.ქვემოდ ვბეჭდავთ მოხევე ლეგიონერის ბ-ის ლექსს, რომელიც დამღერებულია ჩონგურზე.

გიგოლი

თორღვათ გიგოლის აქებენ, ყმაწვილსა ცოტა ხნისაო,
ომისა ხანი არ ჰქონდა, ქისტებზე ხმალსა ცდისაო;
გუგუამ წიგნი მოსწერა, მოკითხულობა ძმისაო:
მე ვნახე , ძმაო, გიგოლი, ადგილი შავეთისაო!

მიმტყუნა სიბერკაცემა, დრო აღარ დამრჩა ცდისაო,
ხელი მკრეს, ხევში ჩამაგდეს, წერა გამხადეს კლდისაო;
ახლა შენ იცი, გიგოლი, ვოჟი ხარ კაიჭკვისაო,
დიდხანს ნუ დააგვიანებ, სისხლი აიღე ძმისაო.

მაშინ წამოდგა გიგოლი, ბედი ახსენა ღვთისაო:
მაღალო ღმერთავ, მანახვე, მამკლავი ჩემის ძმისაო.
ადგა და გადაიარა ჰიუხი მთები კლდისაო,
დაიქვეითა ვაჟკაცმა, ვით ჯეირანმა ტყისაო.

ჩამოვა პირიმზეჩია, წყალობა დახვდა ღვთისაო,
დაჯდა, დარიგდა მხვეწარი, დრო არის ჩვენი სმისაო;
ჯარზე სამ შეხვდა გიგოლის მამკლავი თავის ძმისაო;
საით მოსულხარ, ძმობილო, წოვა თუშეთის მხრისაო!

აი თქვე ჯაბან რუსებო, დღე გიბნელდებათ ცისაო,
შორით მოვსულვარ მოხევე, სისხლი მჭირს ჩემი ძმისაო.
გაჰკრა, გამოჰკრა რუსებსა, ყველა დააწყო ძირსაო,
ლომივითა დგას ვოჟაი, მოლოდინი აქვს მტრისაო.

სახელიც ნუ დაეკარგოს, ლუხუმთიჩხელას შვილსაო...
გოგიამ ცხენი ათხოვა, ვითა აშარი რბისაო.
შეჯექ, ვოჟკაკო, იმგზავრე, მდევარი მოგდევს მტრისაო,
მთაში გაფრინდა გიგოლი, ქორ-შევარდენი მთისაო.

სოფლად ჩამოუა კარკუჩსა, სალამოჟამის პირსაო,
თემსაც გვაქმიე სახელი, სულიც გიცხონდეს მკვდრისაო.
ემაგ ლექსისა მოლექსე ჰიუხის კარზეზისაო;
ლექსოვ, ნუ დაეკარგები მოხევე კაცის შვილსაო!..

ჩვენი სიმღერები

საუკუნეთა მანძილზე არბევდა მტერი საქართველოს. ჩვენი მამულის მადლიან მიწას სისხლში გასვრილი ხელებით ჰკორტნიდნენ არაბთა, ოსმალთა, მონღოლთა, სპარსთა ვერაგი დამპყრობელები. ჩინგისხანები,შაჰაბაზები,თემურლანგები ცეცხლის რკალად მოსდებიან საქართველოს, ნაცარ-ტუტად უქცევიათ ჩვენი ბარაქიანი ზვრები,გადაუბუგავთ სოფლები, წაუბილწავთ ერის დიდება, გაუნადგურებიათ ათასწლოვანი ჩვენი კულტურა.

რიცხობრივად მცირეს, მაგრამ სულიერად ძლიერს ქართველ ერს არასოდეს მოუხრია ქედი მტრის წინაშე. განსაცდელის ჟამს მტრისგან თავზარდაცემულ ქართველ ხალხს ანდერძად წინ უძღოდა რუსთაველის ოქროხმოვანი სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. ხალხის წიაღიდან მოდიოდნენ: გიორგი სააკაძეები, თორნიკე ერისთავები, პატარა კახები, რომლებიც ვაჟკაცურად ლეწდნენ მტრის ურდოებს. უსაზღვროდ უყვარდა და უყვარს ქართველს სამშობლო. სამშობლოს სიყვარულით, ერის წყლულითა გულდაკოდილი ჰგოდებდა აკაკის ჩანგი, „სამშობლო დედის ძუძუა“ აფრთოვანებდა რაფიელ ერისთავს, მამულის აყვავებას შესწირა თავი დიდმა ილიამ.

მიდის ქართველი და მღერის, მღერის სამშობლოზე. ეს გასაგებიცაა. ისტორიამ ქართველს ბედათ არგუნა მუდმივი ფიქრი სამშობლოზე. ქართველი გლეხი ხნავდა: ერთ ხელში სახნისი ეჭირა, მეორეში ხმალი. დედა ყრმას სამშობლოსადმი ერთგულების ჰანგებს აკვანშივე უმღეროდა; ციცაბ მთის ჰიუხებში მწყემსი მამულის ჰირვარამზე აკვნესებდა სალამურს.

ქართველის მეამბოხე სული ვერ ურიგდებოდა მამულის ჩაგვრას. ოსმალთა ტყვეებს ბაზარზე გარეკვის წინ ჩვეულებად ჰქონდათ მოეფხოჰნათ მშობელი მიწა, ჩაეკრათ იგი გულში და ცხელი ცრემლით დაენამათ. სამშობლო! რა ამაღელვებელია ეს სიტყვა! ჟრუანტელს გგვრის იგი. რა უნდა იყოს ადამიანისთვის იმაზე მეტი ტანჯვა, როცა მიწაზე დგეხარ, არა გაქვს მიწა, როცა სამშობლო მოგტაცეს ძალით!?

ქართულ პოეზიაში, ხალხურ შემოქმედებაში პატრიოტული მოტივი იყო და არის უძლიერესი ძალა. სამშობლოსადმი სიყვარულის შთამაგონებელი ძალით ჟღერა პოეტის ჩანგი, მოლექსის სტვირი. ხალხი სიმღერაშიაც-კი გამოხატავდა იმ ნაღველს, რომლითაც მოშხამული იყო ერის სული და გული.

ბოლშევიკებმა პატარა ერებს წაართვეს მშობელი მიწა. ჩვენი წარმტაცი მიწა - წყალი რუსეთის საჯიჯგნი გახადეს. ურჯულოებმა ერს აღმოართვეს სულის სიწმინდე, ღვარძლით აავსეს მისი გული. ქართველი ერი, ჩვეული ბრძოლას, გმინავს, შფოთავს, წითელი გველეშაპი ალრჩობს მას.

გერმანიის გმირული მხედრობის ძლევამოსილი წინსვლა იმედის ალს უღვივებს ქართველ ხალხს. ქართველობამ იცის,რომ მალე დადგება მათთვისაც ბედნიერი დღე, ქართული მიწისაგან პირისა აღიგვება ბოლშევიზმი. ერი აღფრთოვანებულია იმით, რომ დიდი გერმანელი ხალხი ეხმარება მას სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ქართველ ლეგიონერთა ლექსებში, სიმღერებში გამოხატულია რწმენა და სიხარული მოელვარე მომავლისადმი. მამულისადმი სიყვარული ახლა ვიდრე არასოდეს ღვივის მათ გულში.

„თუ, საქართველოს ლერწამი გზრდიდა
თუ მშობლიური ალერსი ნახე,
ვალი მამულის და სიყვარული
გულის სიღრმეში არ შეინახე?!“

ამბობს ლეგიონერი შ. ა. მართლაც ადამიანს, რომელსაც ძუძუ აწოვა ქართულმა მიწამ, არ შეიძლება სამარემდე არ ედოს გულში მშობელი მიწისადმი სიყვარული.

ტრადიციული ქართული გოდება ისმის ახალგაზრდა ლეგიონერის თ. კ-ხ ლექსში.

„დაი. აქ მოვკვდე შენს მკერდზე
განცალკევება ძნელია,
სხვის სამშობლოში სიკვდილი
ქართველ კაცს არა სჩვევია!“

იგი აფრთოვანებულია იმით, რომ „მალე დაემხვის ბნელი“, „აღსდგება მიწა-ქართული“, გერმანელი ხალხის დახმარებით მრავალგზის ტანჯული ერი ეღირსება თავისუფლებას.

ბოლშევიკურ ჯოჯოხეთში ქართველის ნაციონალური სული დატყვევებული იყო. „რუსის უღელ ქვეშ კვდებოდა გული, რუსის უღელ ქვეშ ვკვნესოდით, ვგოდებდით“ სწერს შ. ლ. ასწერს რა ქართველი ერის სიდუხჭირეს ლეგიონერი, ღრმა რწმენით სავსე სტრიქონებს სწერს:

"დასავლეთიდან ამოვიდა
მზე დიდებული
ამოტანა სიხარული და ელვარება,
დაემხვის ბნელი
დაწამებულ ქართულ მიწაზე
ნექტარი მისი სიტკბოებად დაიღვრება!"

ქართველი ლეგიონერები ისე, როგორც ერთი კაცი, აღგზნებულნი არიან ერთი უკეთილშობილესი გრძნობით: იხსნან სამშობლო ბოლშევიზმის ტყვეობიდან. მათ ამხნევებთ ის გარემოება, რომ ამ ბრძოლაში წინ უძღვით გერმანული ლაშქარი, რომ ამ ლაშქარს ბელადობს დიდი **ჰიტლერი**. ამ გრძნობის მკაფიო გამომხატველია ლეგიონერთა ლექსები, სიმღერები.

„შევიკრიბენით ერთადა
ქართლის ჰაბუკნი, გმირები
შენს მზესა ვფიცავთ
ვასრულოთ სიტყვანი, დანაპირები!
რის მოვიწოდებ ალესდებით,
დუშმანს მხნედ გავატიალებთ
ჩვენსა ხმალსა და შაშხანას
ქართველებს დავატრიალებთ“.

ამბობს ლეგიონერი ა. პ. ერთ ლექსში.

26 მაისი დაუვიწყარი თარიღია ჩვენი ერის ცხოვრებაში. იგი საქართველოს ეროვნული აღორძინების დღეა. სწორედ ამ დღეს ქართული ლეგიონის მოედანზე ლეგიონერებმა კვლავ აღმართეს საყვარელი შვინდისფერი დროშა. ამ მოვლენამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. ლეგიონერებმა შეთხზეს ლექსები, სიმღერები. სიხარული, რომელსაც განიცდიდა ამ ზეიმის თვითეული მონაწილე, გადმოცემულია ლეგიონერ პ. ც-ს ლექსში.

"როგორ დაშრება თერგის დინება
ან სურნელება ზურმუხტ ველისა,
როცა ქართველებს უცხო*მიწაზე
მშობელი დროშის ხილვა გველირსა!

ჰეშმარიტად აფრთოვანებს თვითეულ ჩვენგანს შვინდისფერი დროშის ფრიალი. მრავალ გზის ტანჯულია იგი დროშა, ჩვენი მამებისა და სახელოვანი წინაპრების სისხლით შეღებილი. ამ დროშით ვიხსნით ქართველნი დაჩაგრულ მამულს.

ლეგ. ლ. ლინი.

123 მილიონი მარკა

უკანასკნელ ზამთრის კამპანიის დროს აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანიის მხედრებმა მიიღეს დიდი გამოცდილება: ჯარისკაცებმა საშინელ სიცივეში, ყინვაში და ქარბუქში უდიდესი მამაცობითა და ერთგულებით შეაჩერეს წითლების განუწყვეტელი იერიშები.

გერმანიის არმიამ გაალამტვერა საბჭოთა კავშირისა და მისი პლუტოკრატიული მოკავშირეების იმედი — ზამთრის კამპანიაზე.

ადოლფ ჰიტლერის მოწოდებას, გაიღოს დახმარება, გერმანიის მოსახლეობა და არმია, ისე, როგორც ერთი კაცი, თანაუგრძობს. საზამთრო დახმარების თანხამ უკვე მიაღწია 123 მილიონ მარკას.

მღელვარება ეგვიპტეში

ყოველდღე ეგვიპტეში ძლიერდება ინგლისის ტერორი. უკანასკნელ კვირაში ინგლისელებმა დააპატიმრეს ეგვიპტის 600 ნაციონალისტი. აქედან 200 გაგზავნილია საკონცენტრაციო ბანაკში სინაის ნახევარ-კუნძულზე. ყოველდღე ძლიერდება ინგლისის საწინაალმდეგო გამოსვლები. ეგვიპტის ნაციონალისტებმა ქაირის ახლოს ააფეთქეს 2 სასურსათო საწყობი.

45 ათასი ტონი...

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობით, გერმანიის სწრაფმავალმა ნაღმოსნებმა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში საზღვაო ბრძოლებისას ჩასძირეს 8 საბჭოთა გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 9 ათას ხუთას ტონას აღემატება. ბოლშევიკებმა კავკასიაზე გერმანიის არმიის შეტევის დაწყების დღიდან დღემდე უკვე დაჰკარგეს შავი ზღვის ფლოტის უდიდესი ნაწილი. გერმანიის წყალქვეშა ნავების მიერ ჩაძირული საბჭოთა გემების წყალწყვა 45 ათასს ტონას უდრის.

მძიმე ბრძოლის შემდეგ.

ბედნიერია გერმანელი მუშა

ჩემს ამხანაგებთან ერთად უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად. ვნახე დიდი ბერლინი — ევროპის კულტურის ცენტრი. ყველაზე უფრომეტად მაინტერესებდა გამეცნო მუშათა ცხოვრება. ბოლშევიკური პროპაგანდა სკოლაში, წითელ არმიაში თავმომაბეზრებლად ჩაგვჩიჩინებდა იმას, რომ გერმანიაში მუშები სიდუხჭირეში ცხოვრობენ, მუშაობენ ჩაღამებულ საამქროებში, აქვთ ნესტიანი ბინები, ღებულობენ მცირე ხელფასს და სხვა.

სულ სხვა სურათი გადაიშალა ჩემს თვალწინ. მე ვინახულე ელექტრო-მრეწველობის ქარხანა „ოსრამი". ქარხნის ეზოში შეხვალ თუ არა, მაშინვე იგრძნობ სისუფთავეს. თქვენ წინ აღმართულია ვებერთელა კორპუსები განიერი ფანჯრებით, მზიანი დერეფნებით. საამქროები ყველგანნათელია, დაზგებთან თოვლივით სპეტაკ ტანსაცმელში გამოწყობილი მუშა-ქალები დგანან. ისინი მართავენ ურთულეს მანქანას, აკეთებენ ელნათურებს, ელექტრო მოწყობილობას. კმაყოფილების გრძნობაა თვითეულის სახეზე. ისინი შრომობენ და ცხოვრობენ ბედნიერად, ხალისიანად.

ყველაფერია მოწყობილი ქარხანაში მუშისათვის. გერმანელი მუშა ნამდვილად ისვენებს. აგერ სასადილო დარბაზი სუფთა, ყვავილებით მორთული, გრიალებს რადიო მიმღები. იქ სამკითხველო მრავალგვარი წიგნებით, ქვემოდ ტანსაცმელის გასახდელი ოთახები, აბანო, ცივი შადრევნები. სულ ქვემოდ ასეულობით დგანან მუშათა ველოსიპედები.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა ახალგაზრდობას ბოლშევიკები ასწავლიდნენ, მუშები გერმანიაში ცხოვრობენ გარეუბნებში, მჭვარტლიან ქოხებში, სარდაფებშიო. ნამდვილად ჩვენ ვნახეთ მუშათა უბნები სუკეთესო სახლებით, სტადიონებით, საბანაო აუზებით, ბაღჩებით და ბაღებით. ბედნიერად ცხოვრობს გერმანელი მუშა.

ლევ. ე. ფ.

სირიაში

როგორც ანკარიდან იტყობინებიან, ქალაქ ბეირუთში ნაციონალისტების მიერ მოკლული იქნა ინგლისის ორი ოფიცერი. ინგლისელები შეურაცყოფას აყენებენ მაჰმადიანელ ქალებს. დამასკში ააფეთქეს ყუმბარა; იგი გაისროლეს ნაციონალისტებმა; მოკლულია რამდენიმე მოქალაქე და დაჭრილია 11 ჯარისკაცი.

დამასკში პალმირიდან გაიგზავნა ინგლისის ახალი სამხედრო ნაწილები, რომელთაც ევალებათ წესრიგის აღდგენა. ინგლისის ხელისუფლებამ მთელს სირიასა და პალესტინაში გამოსცა ბრძანება, რომელიც მოსახლეობას უკრძალავს საღამოობით ქუჩაში გამოსვლას.

ახალი ტიპის ყუმბარ-მზიდი

გერმანიის პრესა აღწერს ახალი ტიპის თვითმფრინავს, რომელიც გამოშვებულია ლორნეს ქარხნის მიერ. ახალ ყუმბარმზიდს ჰაერში აქვს მეტი ამფეთქი ნივთიერებანი ვიდრე „დ.ო. 215"; მისი ფრენის რადიუსი გაცილებით დიდია. ყუმბარმზიდი მომარაგებულია განსაკუთრებული აპარატებით, რომლებიც აადვილებენ საჰაერო თავდასხმას, თვითმფრინავის სწრაფ მოძრაობას. განსაკუთრებული რადიო-მოწყობილება მფრინავს საშუალებას აძლევს მოახდინოს აფრენა და დაშვება სიბნელეში „ბრმად". თვითმფრინავზე აგრეთვე არის მაშველი ნავი, აუცილებელი სტურველით. განსაკუთრებული კონსტრუქცია მფრინავს საშუალებას აძლევს მოტორის გაფუჭების შემთხვევაში დაუზიანებლად დაეშვას პაეროდრომზე.

კავკასიის კლდოვან ფერდობეზე.

შავი ზღვის მომავალი

შავი ზღვა ისტორიაში ყოველთვის თამაშობდა უდიდეს როლს. იგი არა ერთხელ გამხდარა დიდ პოლიტიკურ ამბავთა ცენტრი. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებიდან დაიწყო ალექსანდრე პირველმა დიდი ლაშქრობა ინდოეთისათვის. უფრო გვიან დასავლეთ ევროპაზე თავდასხმული ჰუნები და მონღოლები მიიწევდნენ წინ მის ჩრდილო სანაპიროებზე. შავი ზღვა იყო მოწამე ხალხთა დიდი გადასახლებისა მე-4—6 საუკუნეებში, რომელიც ჩრდილო სანაპიროთაგან დაიწყო.

ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ ჩვენს ერამდე ბერძენთა ხომალდებმა მიაღწიეს ყირიმისა და კავკასიის სანაპიროებამდე და დაარსეს თავიანთი სავაჭრო კოლონიები. ბერძნებს მოჰყვნენ რომაელები. ბიზანტიის იმპერიისათვის შავი ზღვა წარმოადგენდა ბუნებრივ გზას თავისი გავლენის გასავრცელებლად მახლობელ აღმოსავლეთში. რამდენიმე ხნის შემდეგ თათრები აარსებენ სახელმწიფოს ყირიმის ნახევარკუნძულსა და მდინარეების ბუგისა და დნეპრის შესართავებთან.

ჯვაროსნულ ლაშქრობებისას თურქებმა მიაღწიეს ბიზანტიამდე, დაიპყრეს ბულგარეთი, რუმინეთი და მთელი ჩრდილო სანაპიროები შავი ზღვისა. თურქეთის წინაალმდეგ მაშინ გამოვიდა რუსეთის ძლიერი იმპერია. 1695 წელს პეტრე დიდმა მიაღწია აზოვის სანაპიროებამდე. წინაალმდეგობა რუსეთსა და თურქეთს შორის მწვავდება. ორთავენი იბრძვიან დარდანელის სრუტისათვის. 1792 წელს დადებულ იქმნა ხელშეკრულება, თურქეთმა დაუთმო რუსეთს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროები. რუსეთი განუწყვეტლივ ცდილობდა მეტი გავლენის მიღებას შავ ზღვაზე, ოცნებობდა დარდანელზე. 1936 წელს მონტრიეს კონფერენციაზე თურქეთმა მიაღწია განუსაზღვრელ მფლობელობას სრუტეებზე. საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებით ხელშეკრულების ტექსტი შესწორებულ იქნა იმდაგვარად, რომ სრუტეში გზა დაკეტილი უნდა ყოფილიყო იმ სახელმწიფოთა სამხედრო და სავაჭრო გემებისათვის, რომლებიც ჩაბმულნი არიან ომში. შიშით შეპყრობილმა ბოლშევიკებმა გაფაციცებით დაიწყეს შავი ზღვის ფლოტის მშენებლობა.

ბოლშევიკებმა დაიწყეს ბალკანეთის დაპყრობაზე ზრუნვა. დაიკავეს რა ბესარაბია, დუნაის შესართავი აღმოჩნდა მათ ხელში.

ახლანდელმა ომმა უნდა გადასწყვიტოს შავ ზღვასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. შავ ზღვაში ჩადიან არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი საზღვაო გზები: დონი, დონეცი, დნეპრი და დნესტრი, არამედ თვით ყველაზე გრძელი მდინარე ევროპაში დუნაი, შეერთებული არხით რეინთან და ამგვარად დაკავშირებული ჩრდილოეთის ზღვასთან, ატლანტის ოკეანესთან.

ომამდე შავი ზღვის ნავთსადგურებით გადიოდა 25 მილიონამდე ტვირთი. უკრაინის ნაყოფიერი ოლქებისა და მადნეულით მდიდარი რაიონების ბოლშევიკების ტყვეობიდან განთავისუფლება კიდევუფრო გაზრდის შავი ზღვის ბასეინის სავაჭრო მნიშვნელობას. მაგალითად, არხების გაყვანის გზით შესაძლებელია დუნაის შეერთება რუმინეთის ნავთსადგურ კონსტანცასთან, რომელიც ამდენხანს თამაშობდა ხელმძღვანელ როლს შავი ზღვის სხვა ნავთსადგურთა შორის. ამგვარად აღმოსავლეთისა და დასავლეთს ევროპას შორის კვლავ აღსდგება ურთიერთობა, კავშირი.

აღმოსავლეთ ევროპის სამეურნეო ცხოვრების ცენტრის გადანაცვლებაში შავ ზღვას ენიჭება უპირველესი როლი, არა სამხედრო კონფლიქტთა თვალსაზრისით, არამედ როგორც უფართოესი არენა ეკონომიურ - სამეურნეო თანამშრომლობისა ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოებისათვის.

სევასტოპოლის, ანაპის და ბოლოს ნოვოროსისკის დაკარგვით ბოლშევიკებმა დაჰკარგეს ბატონობა შავ ზღვაზე. შავი ზღვის ფლოტი განადგურებულია. დღიდან გერმანიის იერიშისა კავკასიაზე ჩაძირულია შავი ზღვის ფლოტის საერთო ტონაჟიდან 45 ათას ტონაზე მეტი წყალწყვის მქონე გემნ სევასტოპოლის აღება, ნოვოროსისკის დაცემა არის ახალი ერის დასაწყისი, ერისა, რომელსაც მოაქვს ახალი ეკონომიური აყვავება შავი ზღვის სანაპიროებისათვის.

წითელარმიელები ხიმშილობენ

„წითელ არმიაში, — ამბობენ საბჭოთა ტყვეები, — სუფევს არეულობა. წითელარმიელები აუტანელ სიმშილს განიცდიან.

თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით წითელარმიელს დღეში ეკუთვნის 800 გრამი პური. სინამდვილეში ღებულობს 150—200 გრამს, ხშირად კი 100 გრამი პურით და ნახევარი თევზით უხდება ცხოვრება. ცხადია, ასეთ პირობებში უაზროაამათი ბრძოლა. მოსალოდნელია მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება სურსათ - სანოვაგის მხრივ.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლევ. ნ. მაღაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28.
სტამბა: Deutscher Verlag, Berlin